ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**№48. 48253649**

თარიღი:**30/12/2025**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის" (421272027) საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 მაისის №31 1627 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №g-49.49253608 განკარგულების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"-ს (ს/კ 421272027) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №b48,482334622 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა და ა(ა)იპ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"-ს მმართველის 2025 წლის 23 დეკემბრის №122/118 წერილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის"(ს/კ:421272027) საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 მაისის №31 1627 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი ერთის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"-ს მმართველს (ნ.ხურცია).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი